პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 16 (11930) | პარასკევი, 20 იანვარი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო საწარმოების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს ამრავლონ ღონისძიებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.**

# 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

### მიღებული 1961 წლის 18 იანვარს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი, თანმიმდევრულად ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი სოციალისტური მრეწველობა. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 22,1 პროცენტით გაიზარდა შვიდწლიანი გეგმით დასახული 17 პროცენტის ნაცვლად. წარმოებულია 11,3 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

სწრაფად ვითარდება მძიმე ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალა. ყველაზე წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების განვითარების დავალებანი, როგორიც არის შავი მეტალურგია, ნავთობის მრეწველობა, ქიმია, მანქანათმშენებლობა, საშენ მასალათა მრეწველობა.

ახალი თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ. ხალხი სამართლიანად ამაყობს შესანიშნავი გამარჯვებებით, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა მოიპოვეს კოსმოსური სივრცის კვლევაში, რაკეტმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ქიმიის განვითარებაში, მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებასა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებში.

განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. შარშან დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანა შემოკლებულ — შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე. ჩვენს ქვეყანაში პირველად ისტორიაში მიღებულია და ხორციელდება კანონი მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ. ქალაქებსა და მუშათა დაბებში შვიდწლედის დაწყებიდან აშენებულია საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 165 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტია, ანუ 4 მილიონ 600 ათასი ბინა. სოფლად კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ამ წლებში აიშენეს 1 მილიონ 400 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. უფრო სწრაფად, ვიდრე შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებდა, იზრდება ხელფასის ფონდი და საქონელბრუნვის მოცულობა. მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა 19,6 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15,4 პროცენტისა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. იმ დიდი მუშაობის შედეგად, რაც ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გასწიეს; დიდად გაიზარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა.

თუ 1953 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული იყო 5 მილიარდ 36 მილიონი ფუთი **მარცვალი** და სახელმწიფომ შეისყიდა 1 მილიარდ 899 მილიონი ფუთი, 1960 წელს მარცვლის წარმოებამ შეადგინა 8 მილიარდ 131 მილიონი ფუთი და შესყიდვა გაიზარდა 2 მილიარდ 852 მილიონ ფუთამდე. ამრიგად, მარცვლის წარმოება შვიდ წელიწადში 3 მილიარდი ფუთით და უფრო მეტად გაიზარდა, სახელმწიფო შესყიდვა კი — თითქმის მილიარდი ფუთით. ჩვენს ქვეყანაში მარცვლის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ყამირი მიწების ათვისებამ.

თუ 1953 წელს წარმოებული იყო 5 მილიონ 822 ათასი ტონა **ხორცი** (დაკლული წონით) და შესყიდული იყო 3 მილიონ 600 ათასი ტონა (ცოცხალი წონით), 1960 წელს ხორცის წარმოება 8 მილიონ 725 ათას ტონამდე გაიზარდა და შესყიდვამ 7 მილიონ 900 ათასი ტონა შეადგინა. ამრიგად, ხორცის წარმოება შვიდ წელიწადში ერთნახევარჯერ გაიზარდა, შესყიდვა კი — ერთიორად და უფრო მეტად.

თუ 1953 წელს წარმოებული იყო 36 მილიონ 475 ათასი ტონა **რძე** და შესყიდული იყო 10 მილიონ 600 ათასი ტონა, 1960 წელს რძის წარმოება 61 მილიონ 538 ათას ტონამდე გაიზარდა და შესყიდვამ 26 მილიონ 300 ათასი ტონა შეადგინა. ამრიგად, შვიდ წელიწადში რძის წარმოება 1,7-ჯერ გაიზარდა, შესყიდვა კი — თითქმის ორნახევარჯერ.

ჩვენს ქვეყანაში წინათ არასოდეს არ ყოფილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ისეთი ტემპები, როგორიც უკანასკნელ შვიდ წელიწადში.

მოისმინა და განიხილა რა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის კომპარტიის ყამირის სამხარეო კომიტეტის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებები 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, 1960 წელს წარმოებულია მეტი მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, ზეთოვანი კულტურები, ბოსტნეული, ვიდრე წინა წელს.

შემდგომ განვითარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის უზრუნველყოფაში კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტებით. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს შესყიდულია მეტი, ვიდრე 1959 წელს: ხორცი — 372 ათასი ტონა, რძე — 1 მილიონ 382 ათასი ტონა, კვერცხი — 828 მილიონი ცალი. გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, გაადიდეს რა მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, 1960 წელს ვადამდე შეასრულეს პურის, ხორცის, კვერცხის შესყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1 მილიარდ 801 მილიონი ფუთი მარცვლეული, ანუ 158 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1959 წელს. მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა ორენბურგის, სტალინგრადის, კურგანის, ირკუტსკის, კუიბიშევის, ულიანოვსკის ოლქებისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

მეცხოველეობის განვითარებაში, ხორცისა და რძის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში გასულ წელს კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ლიტვის სს რესპუბლიკამ, ლატვიის სს რესპუბლიკამ, ესტონეთის სს რესპუბლიკამ, ჩელიაბინსკის ოლქმა, თათრეთის ასს რესპუბლიკამ, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკამ, მინსკის, გროდნოსა და გომელის ოლქებმა. 1960 წელს წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხამი ბამბის მიყიდვის გეგმა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკამ, სომხეთის სს რესპუბლიკამ, ყარა-კალპაქეთის ასს რესპუბლიკამ, უზბეკეთის სსრ ხორეზმისა და სამარყანდის ოლქებმა. საქართველოს სს რესპუბლიკამ გაადიდა ჩაის წარმოება; 1960 წელს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის ზრდის შედეგად 1960 წელს მოსახლეობას მიეყიდა ხორცი და ხორცის პროდუქტები 13 პროცენტით მეტი, რძე, ერბო-კარაქი და რძის სხვა პროდუქტები — 8 პროცენტით, კვერცხი — 8 პროცენტით, შაქარი — 13 პროცენტით, ბოსტნეული — 8 პროცენტით მეტი, ვიდრე 1959 წელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის მიღწეული დონე და ტემპები საკმარისი არ არის. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მატება 1960 წელს სერიოზულად ჩამორჩებოდა შვიდწლიანი გეგმით დასახულ გაანგარიშებას. თუმცა 1953 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და შესყიდვა მკვეთრად გადიდდა, გაზრდილი მოთხოვნილება ხორცზე, რძეზე, ერბო-კარაქსა და ზოგიერთ სხვა სასურსათო საქონელზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

იმ საკითხის განხილვის დროს, თუ როგორ კმაყოფილდება ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენში უკანასკნელი წლების მანძილზე. ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდება მოსახლეობა. დიდდება მშრომელთა შემოსავალი, მაშასადამე, წლითიწლობით დიდდება მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე. ცნობილია, რომ ხუთი წლის განმავლობაში (1956-1960 წლები) მოსახლეობის საერთო რიცხვი საბჭოთა კავშირში 18 მილიონი კაცით და უფრო მეტად გადიდდა, ამასთან ქალაქის მოსახლეობა 17 მილიონი კაცით და მეტად გაიზარდა. იმავე პერიოდში ხელფასის ფონდი 17,1 მილიარდი მანეთით გაიზარდა, გადასახადები 870 მილიონი მანეთით შემცირდა; სესხზე ხელმოწერის გაუქმების შედეგად მშრომელებს ყოველ წელს რჩებათ 2,2 მილიარდი მანეთი; გადიდდა პენსიების გაცემა 4 მილიარდი მანეთით. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი წელიწადზე გაანგარიშებით გაიზარდა სულ 24,2 მილიარდი მანეთით (ახალი ფულით). გადიდდა სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი.

ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნად გადიდდა მოთხოვნილება სასურსათო საქონელზე და უწინარეს ყოვლისა ხორცზე, რძეზე, ერბო-კარაქზე. აქედან საჭიროა გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და უწინარეს ყოვლისა არ დავჯერდეთ მიღწეულს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ხელმძღვანელი დაჯერდა მიღწეულს, ალბათ მიაჩნია, რომ მაქსიმუმს მიაღწია, ხოლო ცალკეულ მუშაკებზე მიღწეული წარმატებანი გამხრწნელადაც კი მოქმედებს. ამის შედეგად მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში უკანასკნელ ხანს შენელდა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წლი) პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომ ვადამდე შეასრულებდნენ შვიდწლედის დავალებებს 1960 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში. მაგრამ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა არ გაშალეს აქტიური ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმ მიზნით, რომ დაერაზმათ მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ცუდად გამოიყენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი რუსეთის ფედერაციის ბევრმა ოლქმა და მხარემ. 1960 წელს რუსეთის სფს რესპუბლიკაში წარმოებულია ნაკლები მარცვლეული, ხორცი და რძე, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო დასახული. ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების, ნოვოსიბირსკის, ჩელიაბინსკის, კემეროვოს, კიროვის, ბელგოროდის, კურსკის, ორიოლის, ტამბოვისა და ლიპეცკის ოლქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მარცვლეულის წარმოების გადიდება საჭირო რაოდენობით და შეურიგდნენ იმას, რომ 1960 წელს არ შესრულებულა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის დაწესებული გეგმები. კრასნოდარის მხარის, როსტოვის, ვორონეჟის, ჩიტის ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოება 1960 წელს კიდევაც შემცირდა 1959 წელთან შედარებით. მოსკოვის, ვლადიმირის, ბრიანსკის, ტულის, კიროვის, ტომსკის ოლქებში, მარეთის ასს რესპუბლიკაში, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში, ხაბაროვსკის მხარეში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ძროხის სულადობა შემცირდა. მთლიანად რუსეთის ფედერაციაში დაიხოცა ხუთ მილიონზე მეტი ცხვარი, რასაც მოჰყვა ცხვრის სულადობის შემცირება 1959 წელთან შედარებით.

დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ორგანიზატორული მუშაობის შესუსტება დაშვებულია უკრაინის სს რესპუბლიკაში. მარცვალი, ხორცი, რძე წარმოებულია რესპუბლიკაში უფრო ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო შვიდწლიანი გეგმით 1960 წლისათვის, არ შესრულებულა მარცვლის, რძის, კვერცხის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. 1960 წელი განსაკუთრებით ცუდი შედეგებით დაამთავრეს სოფლის მეურნეობაში პოლტავის, ლუგანსკის, კიროვოგრადის, სუმის, ნიკოლაევის ოლქებმა.

ნელა ხდება იმ ნაკლოვანებათა დაძლევა ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წ.) პლენუმმა აღნიშნა. 1960 წელს ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ არა თუ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი, არამედ დაწესებული გეგმაც კი. დიდძალი პური დააკლეს სახელმწიფოს კუსტანაის, აკმოლინსკის, კოკჩეტავის და ყარაგანდის ოლქებმა. რესპუბლიკაში საკმაოდ არ იზრდება პირუტყვის სულადობა. დაიხოცა სამ მილიონზე მეტი ცხვარი.

უკანასკნელ წლებში შენელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის ტემპები მოლდავეთის სს რესპუბლიკაში. მარცვლის, რძის, კვერცხის წარმოება რესპუბლიკაში 1959 წელთან შედარებით შემცირდა; შემცირდა აგრეთვე პირუტყვის სულადობა.

არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეამცირეს რძის წარმოება 1959 წელთან შედარებით, არ შეუსრულებიათ სახელმწიფოსათვის ხამი ბამბისა და შაქრის ჭარხლის მიყიდვის გეგმები.

შარშან ხამი ბამბის მიყიდვის დაწესებულ გეგმას მნიშვნელოვნად დააკლეს უზბეკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამ რესპუბლიკებში მთელი რიგი წლების მანძილზე ხამი ბამბის მოსავლიანობა ნელა იზრდება. სუსტად ვითარდება ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის წარმოება.

საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ცუდად იყენებენ თავიანთ დიდ შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა ნელა იზრდება, დაშვებულია ცხვრის დიდი სიკვდილიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა კვლავ მცირეა, ძლიერ მცირე რაოდენობით ამზადებენ საკვებს. თუმცა ხელშემწყობი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოიყვანონ სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების უხვი მოსავალი, მნიშვნელოვან ფართობებზე მიიღონ წელიწადში ორი მოსავალი.

ზოგიერთმა ხელმძღვანელმა არასწორი დასკვნა გამოიტანა ყამირის ათვისებისა და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მარცვლის წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებული წარმატებებიდან და შეასუსტა ყურადღება მარცვლეული მეურნეობის განვითარებისადმი თავიანთ რესპუბლიკებსა და ოლქებში. ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიანი ზონის ოლქებში მარცვლის წარმოება თითქმის არ იზრდება. ამავე დროს კი ამ რესპუბლიკებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები მონდომებით ცდილობენ მიიღონ მარცვალი და კონცენტრირებული საკვები სახელმწიფო ფონდებიდან.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ დღემდე ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს საკუთარი ჯიშიანი თესლი, ხოლო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არღვევს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას, უკრძალავს კოლმეურნეობებს შეინახონ თესლი მარცვლის შესყიდვის გეგმის შესრულებამდე. არის ისეთი ფაქტებიც, როცა ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ცდილობენ რაც შეიძლება მალე უპატაკონ გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, აიძულებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩააბარონ სათესლე მარცვალი პურის დამზადების ანგარიშში. დავტოვოთ კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უთესლოდ — ეს ნიშნავს ძირი გამოვუთხაროთ მეურნეობას, ზარალი მივაყენოთ სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გადაჭრით გმობს ამგვარ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას და მოითხოვს, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა განუხრელად შეასრულონ პარტიის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ უთუოდ უზრუნველვყოთ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალხარისხოვანი თესლით. გავაძლიეროთ მუშაობა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და საცდელ სადგურებში იმისათვის, რომ გამოვიყვანოთ და წარმოებაში დავნერგოთ ახალი, უფრო პროდუქტიული და მაღალხარისხოვანი ჯიშის მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სიმინდის ჰიბრიდები, აგრეთვე განვახორციელოთ საუკეთესო დარაიონებული ჯიშის ელიტის თესლის წარმოება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ერთიანად ჯიშიან ნათესებზე რაც შეიძლება სწრაფი გადასვლისათვის. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ციმბირისა და ყაზახეთის ყამირი რაიონებისათვის გამოვიყვანოთ უხვმოსავლიანი საადრეო ჯიშების საგაზაფხულო ხორბალი, ხოლო უკრაინისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისათვის აგრეთვე უფრო ზამთარგამძლე ჯიშების საშემოდგომო ხორბალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ბევრი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო საკმაო სიმტკიცით არ იბრძვის იმისათვის, რომ სრულად გამოიყენონ თავიანთი რეზერვები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალღონე მოახმაროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას, ცდილობს მიაღწიოს თავისი ოლქისა თუ მხარისათვის მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების შესყიდვის რაც შეიძლება მცირე გეგმების დაწესებას და ცენტრალიზებული ფონდიდან პროდუქტების მიწოდების რაც შეიძლება დიდი ლიმიტების მიღებას.

სერიოზული ნაკლოვანებებია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში სოფლად, ცოტა როდია ფაქტები, როცა მუშაკები უპასუხისმგებლოდ კისრულობენ ვალდებულებებს, გაჰყვირიან, რომ ამდენ და ამდენ გეგმას შეასრულებენ, ამას ბიუროკრატიულად აზვიადებენ, მაგრამ ორგანიზაციული ღონისძიებებით არ განამტკიცებენ ვალდებულებებს და ამის შედეგად ფუშავენ მათ შესრულებას. არიან ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც, ცდილობენ რა მიჩქმალონ თავიანთი უმოქმედობა და შექმნან მოჩვენებითი კეთილდღეობა, ადგებიან სახელმწიფოს მოტყუების დანაშაულებრივ გზას, არ ერიდებიან თვალისახვევას, მიწერას და სხვა ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას. ესენი პოლიტიკური ორგანიზატორები კი არ არიან, არამედ კარიერისტები, პარტიას მიტმასნილი ადამიანები, ისინი არცხვენენ პარტიას, ისინი უნდა გაირიცხონ პარტიიდან და მიეცნენ სამართალში. უნდა გამოვაცხადოთ გადამწყვეტი ბრძოლა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ, აღვზარდოთ კადრები პარტიისა და ხალხის წინაშე პატიოსნებისა და სიმართლის სულისკვეთებით, მინდობილი საქმისათვის უდიდესი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

განიხილავს რა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებს და ააშკარავებს რა არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის ამ ნაკლოვანებათა კრიტიკა სულ სხვა პირობებში წარმოებს, ვიდრე 1953 წელს. მაშინ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი სერიოზულად ჩამორჩენილი იყო. ახლა ნაკლოვანებებს ვაკრიტიკებთ სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდის პირობებში, როცა დიდი წარმატებები გვაქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

დიდი წარმატებები გვაქვს სოფლის მეურნეობაშიც. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ არ ვითარდება ისეთი სწრაფი ტემპებით, როგორც მრეწველობა. ვერ მიჰყვება ჩვენი ინდუსტრიის სწრაფ ზრდასა და მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდას. კომუნისტური მშენებლობის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის ინტერესები ახლა სოფლის მეურნეობის განვითარების სხვა, უფრო სწრაფ ტემპებს მოითხოვს. ამოცანა ის არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ყოველთვის უსწრებდეს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

**სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები ყოველთვის უნდა იყოს ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. თუ არ იქნება კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, თუ არ იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, არ შეიძლება იყოს აყვავებული სოციალისტური ეკონომიკა. ბრძოლა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის კომუნისტური საზოგადოების აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმეა.**

(დასასრული მე-2 გვ.).

# 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

### მიღებული 1961 წლის 18 იანვარს

(დასასრული)

ყველა კომუნისტს, ყველა საბჭოთა ადამიანს ესმის, რომ არ შეიძლება ავაშენოთ სოციალიზმი და კომუნიზმი, თუ არ შევქმენით მძიმე მრეწველობა, თუ არ განვახორციელეთ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, — ეს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის არსია. აგრეთვე უნდა შევიგნოთ, რომ არ შეიძლება ავაშენოთ კომუნიზმი, თუ არ გვექნა კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტების სიუხვეს ხალხისათვის. სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას ვერ მივაღწევთ, თუ არ გვექნა მძიმე მრეწველობა, მეტალურგია, ქიმია, ელექტროფიკაცია. მძიმე ინდუსტრია წარმოების საშუალებათა წარმოებაა. თუ კიდევ უფრო არ განვავითარეთ მძიმე ინდუსტრია, ისე ვერ გადავჭრით იმ ამოცანას, რომ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც, უამისოდ კი, თავის მხრივ, მთლიანად ვერ დავაკმაყოფილებთ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში, პირველი ხუთწლედების წლებში, პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი თავიანთ ძალღონეს იმას ახმარდნენ, რომ შეექმნათ, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრია, წარმოების საშუალებათა წარმოება. საბჭოთა ადამიანები ყოველმხრივ ეწეოდნენ ეკონომიას იმისათვის, რომ მოკლე ვადაში შეექმნათ მძიმე მრეწველობა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საფუძველია. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. საბჭოთა ქვეყანამ შექმნა მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, მას მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში სამრეწველო წარმოების მხრივ და შეუძლია აწარმოოს ყველაფერი, რაც მას სჭირდება. ჩვენი ეკონომიკა ძალების აყვავებას განიცდის, იგი სწრაფი ტემპებით ვითარდება. განუზომლად გაიზარდა ახლა ჩვენი შესაძლებლობანი ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა კავშირი ამჟამად ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზეა — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეტაპზე. ახლა ჩვენს ქვეყანას აქვს ისეთი მძლავრი ინდუსტრია, ისეთი მძლავრი თავდაცვა, რომ მას შეუძლია მეტი სახსრები გამოჰყოს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და თავდაცვის განმტკიცებას.

ჩვენს ხალხს ყველა საფუძველი აქვს იმედი ჰქონდეს, რომ დაკმაყოფილდება მისი გაზრდილი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ეს გაზრდილი მოთხოვნილებანი.

სკკპ XXI ყრილობის დირექტივების შესაბამისად დაგროვება, რასაც სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულების შედეგად ვიღებთ, უნდა გამოვიყენოთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში ჩვენმა მრეწველობამ აწარმოვა მილიარდი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შვიდწლედით დასახულ ასიგნობათა გადამეტებით გამოგვეყო დამატებითი ასიგნობანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასადიდებლად, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დარგების განსავითარებლად.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ახლა ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა აქვს სერიოზულად გაადიდოს კაპიტალდაბანდებანი შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა გადამეტებით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურე მრეწველობის განვითარებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მინერალური სასუქების, საშენი მასალების წარმოებისათვის.**

**გამოჰყოფს რა დამატებით სახსრებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, პარტია ისახავს მიზანს შექმნას პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობა ისე, რომ იგი დამოკიდებული არ იყოს ბუნების კაპრიზებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველ წელს, ყოველგვარ კლიმატურ პირობებში, უზრუნველყოფდეს ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო პროდუქტების მიღებას ხალხის მოთხოვნილებათა სავსებით დასაკმაყოფილებლად.**

გარანტირებული მოსავლის მიღების საიმედო საშუალებაა **ირიგაცია — მილიონობით ჰექტარი მიწის მორწყვა და გაწყლიერება.** ყამირის ათვისების მეოხებით ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში ათეულ მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები დაამუშავა აღმოსავლეთ რაიონებში. ირიგაციის მეოხებით მილიონობით ჰექტარ მიწას გამოვიყენებთ შუა აზიაში, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილში, ვოლგისპირეთში, სამხრეთ უკრაინაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ირიგაცია შესაძლებლობას მოგვცემს ყოველთვის მივიღოთ საჭირო რაოდენობით ისეთი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორიც არის ბამბა, ბრინჯი, სიმინდი, საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, ერბოკარაქის, მატყლის წარმოება.

ირიგაციის განვითარების ფართო პროგრამასთან ერთად საჭიროა შესრულდეს **მელიორაციის სამუშაოები** — დაჭაობებული და ზედმეტად დატენიანებული მიწების ამოშრობისათვის რუსეთის სფსრ, უკრაინის პოლესიეს არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია დიდ ღონისძიებათა განხორციელება **მინერალური სასუქების,** ჰერბიციდების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიურ საშუალებათა **წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის,** გადიდებული სიჩქარის მქონე მძლავრი ტრაქტორების და მათი იარაღების, თვითმავალი შასების, მარცვლეულის, სიმინდისა და სასილოსე კომბაინების, მარცვლეულის მოსავლის აღების შემდეგ დასამუშავებელი მანქანების, ბამბასაკრეფი მანქანების, მეცხოველეობის მოწყობილობისა და სამუშაოთა მექანიზაციის მანქანების, ორგანული სასუქების შესატანი მანქანების, ავტომანქანებისა და სატრანსპორტო ურიკების, საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა, მთიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ტექნიკის წარმოებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ **ამჟამად მთავარია რაც შეიძლება სრულად გამოყენებულ იქნას არსებული შესაძლებლობანი მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მკვეთრი გადიდებისათვის უკვე მიმდინარე წელს და უახლოეს წლებში.** ამ მიზნით საჭიროა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მთავარი ყურადღება მიაპყრონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, კადრების შერჩევასა და აღზრდას, საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, მიღებული მიმდინარე წლის იანვარში, სათადარიგო ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ბენზინის ფასების შემცირების შესახებ, საშემოსავლო გადასახადის შეღავათების მინიჭების, კრედიტების გაიაფებისა და სესხის გადასახდელთა ვადის გადადების შესახებ სახელმწიფოს მხრივ დიდი დახმარებაა კოლმეურნეობებისადმი.

ახლა, როცა ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვნად გამაგრდნენ, აქვთ უფრო მძლავრი ტექნიკა და ჰყავთ გამოცდილი კადრები, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზატორულ მუშაობას, თვითეული მეურნეობისა და რაიონის რეზერვების უნარიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ბეჯითად დანერგვას, სოფლის მეურნეობის გაძღოლის კულტურის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა და არსებული სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და გადამწყვეტი გარდაქმნა ესაჭიროება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და პროპაგანდას, ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე რაციონალური გაძღოლის საკითხებში, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მეთესლეობის გაუმჯობესება. სამინისტრო მოვალეა ყოველდღიურად და ღრმად იმუშაოს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საჯიშე საქმე, ვეტერინარია, ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ. სამინისტროს დასაყრდენია საცდელი სადგურები. საჭიროა გაძლიერდეს აგრონომისა და ზოოტექნიკოსის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შექმნა გაერთიანებისა ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, მინერალური სასუქებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტისა და გამოყენების ორგანიზაციის საკითხებზე. ეს გაერთიანება უნდა იყოს შუამავალი ერთი მხრივ მრეწველობასა და მეორე მხრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცნობს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის არსებულ სისტემას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი და საჭიროა მისი გარდაქმნა და ძირეული გაუმჯობესება. ამ მიზნით საჭიროა შეიქმნას დამზადების სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც აწარმოებს მარცვლის, ტექნიკური კულტურების, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ყოველი სახეობის შესყიდვას.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა.

უდიდესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე მისი გამოსვლის თეზისებსა და გამოსვლას. ამ დოკუმენტებში მოცემულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, დასაბუთებულია, რომ საჭიროა და რეალურად შესაძლებელია უფრო სწრაფად განვითარდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგი, გაკრიტიკებულია სერიოზული ნაკლოვანებანი მეურნეობის ხელმძღვანელობაში, განსაზღვრულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, დასახულია მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გზები მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას ღონისძიებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე მისი გამოსვლის თეზისებსა და გამოსვლაში და რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მთავარ მიმართულებებსა და კონკრეტულ ამოცანებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

2. პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდა, მხედველობაში იქონიონ, რომ მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე სავსებით კმაყოფილდებოდეს და მათი წარმოება ყოველთვის უსწრებდეს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

სახელმწიფო მოთხოვნილებათა მთლიანად დაკმაყოფილებისათვის მარცვლის შესყიდვა უახლოეს წლებში აყვანილ იქნას ყოველწლიურად 4 მილიარდ 200 მილიონ ფუთამდე, ხორცისა — 13 მილიონ ტონამდე, რძისა — 50 მილიონ ტონამდე. ამასთან თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკის წვლილი დაახლოებით შემდეგი უნდა იყოს:

| | მარცვლეული (მილიონობით ფუთი) | ხორცი (ათასობით ტონა) | რძე (ათასობით ტონა) |
|---|---|---|---|
| რუსეთის სფსრ | 2.400 | 7.200 | 27.450 |
| უკრაინის სსრ | 700 | 2.800 | 12.500 |
| ბელორუსიის სსრ | 23 | 510 | 2.200 |
| უზბეკეთის სსრ | 23 | 200 | 450 |
| ყაზახეთის სსრ | 950 | 1.200 | 2.000 |
| აქედან ყამირის მხარე | 750 | 420 | 930 |
| საქართველოს სსრ | 15 | 75 | 280 |
| აზერბაიჯანის სსრ | 12 | 83 | 260 |
| ლიტვის სსრ | 8 | 245 | 1.250 |
| მოლდავეთის სსრ | 35 | 145 | 450 |
| ლატვიის სსრ | 8 | 160 | 1.300 |
| ყირგიზეთის სსრ | 12 | 184 | 350 |
| ტაჯიკეთის სსრ | 4 | 65 | 120 |
| სომხეთის სსრ | 4 | 43 | 200 |
| თურქმენეთის სსრ | 2 | 65 | 90 |
| ესტონეთის სსრ | 4 | 125 | 800 |

მარცვლის, ხორცისა და რძის შესყიდვის გათვალისწინებული ოდენობა სავსებით რეალური და შესაძლებელია.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წამოყენებულ მოთხოვნათა შესაბამისად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მარცვლის, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ღონისძიებათა შემუშავება განახორციელონ ქვემოდან, დაწყებული ბრიგადით, ფერმით, კოლმეურნეობით, საბჭოთა მეურნეობით, ისე რომ ფართო მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობაში ყველა შესაძლებლობისა და რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას. მოწინავეთა მიღწევები უნდა იყოს მაგალითი, შუქურა, რომელიც გვიჩვენებს სწორ გზას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას წარმოების მაღალი დონე თვითეულ ბრიგადაში, ფერმაში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

**მარცვლეული მეურნეობის განვითარებაში,** მარცვლის წარმოების გადიდებაში მთავარი რეზერვებია:

— **სიმინდის მარცვლის წარმოების გადიდება** იმ გზით, რომ ამ კულტურის მოვლა-მოყვანისათვის გამოიყოს მიწები უკრაინის ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში დაახლოებით 3 მილიონი ჰექტარის ოდენობით, რუსეთის ფედერაციაში — დაახლოებით 2 მილიონი ჰექტარი, აგრეთვე მოლდავეთსა და საქართველოში, ისე რომ ამ ფართობებზე მიღებულ იქნას სულ მცირე 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალი ჰექტარზე. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს დამატებით ექნეს მილიარდ ფუთზე მეტი სასაქონლო მარცვალი;

— **მოსავლიანობის გადიდება და მიწების შემდგომი ათვისება ყამირ რაიონებში, რათა გადიდდეს სასაქონლო პურის წარმოება;**

— **ნათესი ფართობების გადიდება და განსაკუთრებით მოსავლიანობის ამაღლება არაშავნიადაგიანი ზონის რაიონებში,** რათა უახლოეს წლებში გადიდდეს მარცვლეულის საერთო მოსავალი ამ ზონაში სულ ცოტა 500-600 მილიონი ფუთით;

— **მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში** მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველზე.

საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ჩამორჩენა წიწიბურის, ბარდის, ლობიოს და სხვა საბურღულე და პარკოსანი კულტურების წარმოებაში.

**მეცხოველეობის განვითარებაში,** ხორცისა და რძის წარმოების გადიდებაში მთავარ საქმედ ჩაითვალოს:

— **ძროხის სულადობის ზრდა;**

— **მეღორეობის,** როგორც ყველაზე ადრეული მეცხოველეობის დარგის, **აგრეთვე მეფრინველეობის** ყოველი ღონისძიებით განვითარება;

— მეცხოველეობის **პროდუქტიულობის გადიდება,** პირუტყვის საძოვრულ-ბაგური გასუქების გაუმჯობესება;

— **მტკიცე საკვები ბაზის შექმნა,** უწინარეს ყოვლისა სიმინდის, აგრეთვე შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, სამარცვლე პარკოსანი კულტურების, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, მდელოებისა და საძოვრების პროდუქტიულობის გადიდების საშუალებით.

გაუმჯობესდეს სანაშენე მუშაობა მეცხოველეობაში, მიღწეულ იქნას რძის ცხიმიანობის, პირუტყვის სახორცე თვისებათა გაუმჯობესება და მატყლის ნაპარსის გადიდება.

საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მეცხვარეობის განვითარებაში, მივაღწიოთ ცხვრის სულადობის ზრდას. ბოლო მოვუღოთ ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის ცხვრის, ხბოებისა და გოჭების დაღუპვა უყაირათობისა და დაუდევრობის გამო.

**ტექნიკური კულტურების** და, უწინარეს ყოვლისა, ბამბისა და შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, საზეთე სელის, აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის, ჩაის, ხილის, ყურძნის **წარმოების განვითარებაში** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას ამ კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების პროგრესული ხერხების დანერგვის გზით, მექანიზაციის დანერგვას თესვაში, დამუშავებასა და აღებაში.

როგორც მიწათმოქმედების დარგში, ისე მეცხოველეობის დარგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს კომპლექსური მექანიზებული ბრიგადები მემინდვრეობისა და მეცხოველეობის მომსახურებისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს განაზოგადონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ და ორი თვის ვადაში წარუდგინონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, მინისტრთა საბჭოებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად გამონახონ ტექნიკის, მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების, მიკროსასუქების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების დამატებითი შესაძლებლობანი, განსაკუთრებით 1961-1963 წლებში.

შეიმუშაონ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაციის დამთავრების სახელმწიფო გეგმა, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ყოველი ღონისძიებით დაჩქარდეს და ძირითადად დამთავრდეს ეს სამუშაოები მიმდინარე შვიდწლედში, აგრეთვე ღონისძიებანი, რათა უახლოეს წლებში განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, აღებისა და აღების შემდეგ პროდუქციის დამუშავების ნაკადურ ტექნოლოგიაზე გადასვლა. გააძლიერონ ყურადღება იმისადმი, რომ შეიქმნას სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის გამომშვებ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები, გაითვალისწინონ ამ მიზნებისათვის საჭირო სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყოფა.

5. დაევალოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მიერ წარდგენილ ღონისძიებათა საფუძველზე შეიმუშაონ და დაამტკიცონ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტული პროგრამა, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ანაზღაურდეს დაკარგული და შვიდწლედის დარჩენილი ხუთი წლის მანძილზე მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შეუდარებლად უფრო მაღალ ტემპებს.

ამასთან დაკავშირებით განიხილონ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა დამატებით გამოყოფის საკითხი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო საწარმოების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს ამრავლონ ღონისძიებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში.

1961 წლის ოქტომბერში გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა. ყრილობა შეაჯამებს იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც პარტიამ და ხალხმა გასწიეს სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, დაამტკიცებს სკკპ ახალ პროგრამას, რომელიც შეაიარაღებს ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის დიად ბრძოლაში. ამოცანა ის არის, რომ ავამოქმედოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვები, არ დავკარგოთ დრო. ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა 1961 წელს — შვიდწლედის მესამე წელს — გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპები, ახალი თვალსაჩინო წარმატებებით შევხვდეთ პარტიის XXII ყრილობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და იმდენ კვების პროდუქტებსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს მისცემენ სამშობლოს, რამდენიც საჭიროა საბჭოთა ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების დელეგაცია

18 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და „სსრ კავშირ-იაპონიის" საზოგადოების მოწვევით სსრ კავშირში მყოფი „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების დელეგაცია, რომელშიც შედიან დელეგაციის მეთაური, პარლამენტის დეპუტატი, „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ს. მაცუმოტო და „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების გამგეობის წევრები დ. ინოუე, მ. კუბო, ს. ტაგავა, ტ. იამადა.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ: მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, „სსრ კავშირ-იაპონიის" საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი და კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ტ. მ. ზუევა.

## სსრ კავშირისა და ბულგარეთის ეკონომიური თანამშრომლობა

მოსკოვი, 18 იანვარი. (საქდესი). საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგად მოსკოვში დღეს ხელმოწერილ იქნა: ოქმი სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის საქონელბრუნვის შესახებ 1961 წლისათვის და ოქმი სსრ კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საქონლის დამატებითი ურთიერთმიწოდების შესახებ 1962-1965 წლებისათვის.

გათვალისწინებულია სსრ კავშირიდან ბულგარეთში მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდების გადიდება. გაიზრდება აგრეთვე ბულგარეთში შავი და ფერადი ლითონების, ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ენერგეტიკული ქვანახშირის, სინთეზური კაუჩუკის, ქაღალდისა და სხვა საქონლის მიწოდება.

ბულგარეთი თავის მხრივ აფართოებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო თავისი საქონლის, მათ შორის ზოგიერთ სახეობათა გემების, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ფერადი ლითონების მადნების კონცენტრატების, თამბაქოს, ავეჯის, ახალი და გადამუშავებული ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის მიწოდებას.

ხელმოწერილი დოკუმენტები ახალი წვლილი იქნება სსრ კავშირისა და ბულგარეთის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებაში და ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

# კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

### მიღებული 1961 წლის 18 იანვარს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც გაიმართა 1960 წლის ნოემბერში მოსკოვში, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო. თათბირი თვალსაჩინო როლს შეასრულებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გაძლიერებაში.

81 მარქსისტულ-ლენინური პარტიის დელეგაციათა მონაწილეობა თათბირში, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების საფუძვლიანი შემოქმედებითი განხილვა, შემუშავებული და ერთხმად მიღებული განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდეს იდეურ და პოლიტიკურ გამარჯვებას მოასწავებს.

თათბირმა დაადასტურა, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები ერთგული არიან დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტისა, რომლებიც მიღებულია 1957 წელს, და ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე განსაზღვრა კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი პერსპექტივები. კოლექტიურად შემუშავებული შეფასებანი და დასკვნები იმ საკითხების შესახებ, რომლებიც წამოაყენა მოვლენათა მსვლელობამ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლამ, თათბირის უმნიშვნელოვანესი შედეგია.

1960 წლის თათბირის—მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი თათბირის — შედეგები მარქსიზმ-ლენინიზმის ბაზაზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ურღვევი შეკავშირების თვალსაჩინო გამოვლინებაა, იმის გამოვლინებაა, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას, ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას.

განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი შეესაბამება ხალხთა ფართო მასების ინტერესებს, მათს მისწრაფებებს მტკიცე მშვიდობისადმი, სოციალიზმისადმი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისადმი. ეს დოკუმენტები უდიდეს შთამაგონებელ, მამობილიზებელ და მაორგანიზებელ როლს შეასრულებენ იმ დიადი მიზნებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დგას მუშათა კლასისა და მისი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის წინაშე, ყველა მშრომელის, ყველა ქვეყნის ხალხთა პროგრესული ძალების წინაშე.

განცხადებაში წამოყენებული ახალი იდეები და დებულებები წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის გამოყენებასა და შემდგომ განვითარებას იმ პირობებში, როცა საერთაშორისო ვითარება და კლასობრივ ძალთა თანაფარდობა სულ უფრო გადაჭრით იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ. განცხადება ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ბრძოლის საერთო იდეური პლატფორმა და პროგრამაა.

იმისათვის, რომ გააქტიურდეს ბრძოლა, რათა კაცობრიობამ თავი დააღწიოს ომის საფრთხეს, დიდი მნიშვნელობა აქვს მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, რომელიც მოუწოდებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა, ეროვნებისა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა, შეკავშირდნენ იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთობლივი ღონისძიებებით დაიცვან და განამტკიცონ საყოველთაო მშვიდობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განცხადება და მიმართვა მიაჩნია უმნიშვნელოვანეს მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტებად, სახელმძღვანელოდ მოქმედებისათვის.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორიისა და პოლიტიკისათვის, მოძრაობისა, რომელიც მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის ავანგარდშია, პრინციპული მნიშვნელობა აქვს განცხადებაში ჩამოყალიბებულ ჩვენი ეპოქის გაშლილ მარქსისტულ-ლენინურ დახასიათებას, რომლის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. განცხადებაში გამოხატულია კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანი პოზიციები ომისა და მშვიდობის საკითხში. თათბირმა დაადასტურა ის დასკვნა, რომ რეალურად შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი თანამედროვე პირობებში, განსაზღვრა ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის მსვლელობაში დაიცვან მშვიდობის საქმე, აგრეთვე პირობები, რომლებშიც ჯერ კიდევ დედამიწაზე სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე ომი შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოების ცხოვრებიდან. სოციალიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში საბოლოოდ აღმოფხვრის ყოველგვარი ომის წარმოშობის სოციალურ და ეროვნულ მიზეზებს.

ამავე დროს თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ხალხთა სიფხიზლე ომის საფრთხის მიმართ. ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, რომლის აგრესიული ბუნება არ იცვლება, იარსებებს აგრეთვე ნიადაგი დამპყრობლური ომებისათვის. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თათბირის მოწოდებას ხალხებისადმი, რომ გააჩაღონ ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, არ დაელოდონ, თუ როდის ჩამოცვივა ატომური და წყალბადის ბომბები.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი საერთაშორისო ურთიერთობის ერთადერთი სწორი და გონივრული პრინციპია. ახლა საკითხი მხოლოდ ასე დგას — ან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, ან გამანადგურებელი ომი. სხვა გზა არ არის. მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში იქმნება ხელშემწყობი შესაძლებლობანი მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ გაჩაღდეს კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციისათვის. თავის მხრივ რევოლუციური კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, საყოველთაო-სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ხელს უწყობს მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებას.

თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, დაუცხრომლად ამხილებს იმპერიალისტთა აგრესიულ ზრახვებს, გააძლიერებს ხალხთა სიფხიზლეს მშვიდობის ყველა მტრის მიმართ. სანამ არ განხორციელდება განიარაღება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ჯეროვან დონეზე იქონიოს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება, მიაჩნია რა ეს მშვიდობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს პირობად, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მთელი სოციალისტური ბანაკის უშიშროების უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სავსებით იზიარებს განცხადებაში ჩამოყალიბებულ დასკვნებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზების შესახებ, სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით ხალხთა აღზრდის საქმეში მოძმე პარტიების ამოცანების შესახებ. სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანება ერთიან ბანაკად, მისი მტკიცე შეკავშირება და მზარდი ძლიერება უზრუნველყოფს მთელი სისტემის ფარგლებში სოციალიზმის სრულ გამარჯვებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ისევე როგორც ყველა მოძმე პარტიას, სოციალისტური ბანაკის ძალისა და უძლეველობის მთავარ წყაროდ მიაჩნია კომუნისტური და მუშათა პარტიების, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ერთიანობა და შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი მათი ერთგულება.

თათბირმა აღნიშნა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევით კოლონიური მონობის სისტემის დამხობა თავისი ისტორიული მნიშვნელობით მეორე მოვლენაა თანამედროვე მსოფლიოში მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ დიდმნიშვნელოვანია თათბირის დასკვნები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მზარდი როლის შესახებ მსოფლიო განვითარებაში, კოლონიალიზმის სისტემის საბოლოო ლიკვიდაციის, ეროვნული დემოკრატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის მზარდ შესაძლებლობათა შესახებ. საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც განუხრელად უჭერენ მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ყოველი ღონისძიებით გაუწიონ მორალური და მატერიალური დახმარება ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებელი ეროვნული განვითარებისათვის.

განცხადებაში გაშუქებულია კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის აქტუალური პრობლემები, ნაჩვენებია მის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაჭრის ახალი შესაძლებლობანი. ხალხთა ფართო მასების გაერთიანება მუშათა კლასის გარშემო მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რომ მოვამზადოთ მასები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. თათბირმა დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური დებულებანი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმები დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტულ პირობებზე, დიდი ძალით გაუსვა ხაზი იმ დებულებას, რომ კომუნისტები ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ რევოლუციის ექსპორტისა და გადაჭრით იბრძოლებენ კონტრრევოლუციის იმპერიალისტური ექსპორტის წინააღმდეგ. ეს დებულებანი რევოლუციურ მუშათა მოძრაობას უსახავენ ნათელ პერსპექტივებს, ნერგავენ ახალ რწმენას კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების, მუშათა კლასის რიგებში.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა წარმატებით რომ გადაჭრან თავიანთი ამოცანები, საჭიროა შემდგომშიც განაგრძონ მტკიცე ბრძოლა ორ ფრონტზე — რევიზიონიზმის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ მთავარი საფრთხეა, და დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, რომლებიც, თუ მათ წინააღმდეგ თანმიმდევრულად არ ვიბრძოლებთ, აგრეთვე შეიძლება გახდნენ მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განცხადებაში ჩამოყალიბებულ კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობის პრინციპებს, თათბირის მიერ ერთსულოვნად მიღებულ დებულებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მტკიცედ დაცვა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, რაიმე ისეთი მოქმედების აღკვეთა, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ამ ერთიანობას, კომუნიზმის საქმის გამარჯვების აუცილებელი პირობაა. კომუნისტური მოძრაობის ინტერესები მოითხოვს, რომ თვითეულმა კომუნისტურმა პარტიამ სოლიდარულად დაიცვას მოძმე პარტიების თათბირებზე ერთობლივად შემუშავებული შეფასებანი და დასკვნები, რომლებიც ეხება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს.

ეს პრინციპები სავსებით შეესაბამება ლენინურ ნორმებს, რომლებითაც განუხრელად ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის ინტერნაციონალურ ურთიერთობაში. ჩვენი პარტია თანმიმდევრულად დაიცავს და განამტკიცებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, გააფართოებს და განამტკიცებს თავის ურთიერთობას მოძმე პარტიებთან, აღზრდის კომუნისტებსა და ყველა საბჭოთა ადამიანს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად შეაფასეს ჩვენი პარტიის დამსახურება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე, აღიარეს მისი მოღვაწეობა როგორც მაგალითი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპების გამოყენებისა პრაქტიკაში, აგრეთვე აღიარეს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ჩვენი პარტიის მოღვაწეობისა და გამოცდილების ეს მაღალი შეფასება აღაფრთოვანებს საბჭოთა კომუნისტებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ კომუნიზმის ასაშენებლად ჩვენს ქვეყანაში, რომელიც პირველი უკაფავს ნათელი მომავლის გზას მთელ კაცობრიობას, იბრძოლონ სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნას პოლიტიკური ხაზი და საქმიანობა სკკპ დელეგაციისა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე.

2. მოწონებულ იქნას თათბირის მიერ მიღებული განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი; საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სკკპ მოღვაწეობის ყველა დარგში დაცულ იქნას შეფასება და დასკვნები, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავენ.

3. წინადადება მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს განიხილონ და განუმარტონ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს თათბირის შედეგები, თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტების შინაარსი და მნიშვნელობა, ამასთან მოუწოდონ ყველა საბჭოთა ადამიანს კიდევ უფრო წარმატებით გადაჭრან გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, თავიანთი შრომით ყოველი ღონისძიებით გაამრავლონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობისათვის ბრძოლაში, გააძლიერონ სიფხიზლე იმპერიალისტთა ხრიკების მიმართ, განამტკიცონ შეკავშირება და მეგობრობა სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხებთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან და მშვიდობისმოყვარე ხალხებთან.

დაევალოს პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს:

ა) განიხილონ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგები პარტიული აქტივის კრებებზე;

ბ) მოაწყონ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებისა და მიმართვის შესწავლა პარტიული განათლების სისტემაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

---

# ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXII ყრილობას

## მოსკოველთა ვალდებულებანი

**მოსკოვი**, 18 იანვარი. (საკდესი). ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას— კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას, — ასეთი მოწოდებით გამოვიდნენ მოსკოვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის მუშები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი.

მოსკოველებმა გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გაითვალისწინეს რეზერვები და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უფრო ფართოდ დანერგვის, სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციის, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და მატერიალური და შრომითი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების გზით გათვალისწინებულია ვადამდე, 25 დეკემბერს, შესრულდეს მთლიანი პროდუქციისა და უმნიშვნელოვანესი ნომენკლატურის ნაკეთობათა გამოშვების წლიური გეგმა, 15 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდონ შრომის ნაყოფიერების ზრდის 1961 წლის დავალება.

გათვალისწინებულია გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდეს ლითონდასამუშავებელი ავტომატური ხაზების, პროგრამული მართვის ჩარხების, უწყვეტი პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა, ელექტრული მანქანებისა და აპარატების გამოშვება. პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის დამზადდება პროდუქცია, რომლის ღირებულება 150 მილიონი მანეთით გადააჭარბებს დაწესებულ გეგმას.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობას ტექნიკური აღჭურვის საქმეში.

მიმდინარე წელს უნდა შეიქმნას და აითვისონ 1600-ზე მეტი ახალი სახეობის პროდუქცია, მათ შორის 700 ჩარხი, მანქანა, მექანიზმი, ხელსაწყოები და სხვა მოწყობილობა, აგრეთვე 3000-ზე მეტი ახალი ნიმუშის საქონელი ფართო მოხმარებისა.

მოსკოველი მშენებლები კისრულობენ ვალდებულებას გაანაღდონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 26 დეკემბერს და საექსპლოატაციოდ გადასცენ 3700 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 360 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე შარშან.

დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მეტრომშენის მუშაკებმა, მოსკოვის კვანძის რკინიგზელებმა, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა.

მოსკოველებმა მიმართეს ლენინის სახელოვანი ქალაქის მშრომელებს მოწოდებით — განაგრძონ და კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

დედაქალაქის მშრომელებმა აღუთქვეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

# აშენებენ ახალ პლანტაციებს

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). რაიონში ყოველწლიურად იზრდება ჩაის, დაფნის, ხილისა და ვენახის ფართობები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წლის 5 იანვრამდე 60 ჰექტარზე გააშენეს ჩაის ახალი პლანტაცია, ესე იგი, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ თავი ისახელეს ძველი სენაკის სტალინის სახელობის და ნოქალაქევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა. ძველსენაკელმა კოლმეურნეებმა ჩაი 10 ჰექტარზე გააშენეს, ნოქალაქეველებმა კი — 13 ჰექტარზე, ეს დავალებას დიდად სჭარბობს.

რაიონის კოლმეურნეობებმა ხელი მოჰკიდეს მივიწყებული დარგის — მეხილეობის განვითარებას. მათ 20 ჰექტარზე გააშენეს ხეხილი, 10 ჰექტარზე გაშენდა დაფნის ახალი პლანტაცია, 20 ჰექტარზე კი ვენახი.

# მეტი ქაღალდი სამშობლოს

## ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

**1961 წლის** 17 იანვარს, მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

თათბირი განიხილავს საკითხს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

შესავალ სიტყვაში ამხ. ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ ახლანდელი თათბირი ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხების განხილვამ, პლენუმის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის მუშაკებს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, თავიანთი შრომით დიდი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

ამ თათბირის მოწვევა მოწმობს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დიდ ზრუნვას ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გ. მ. ორლოვს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამბობს მომხსენებელი, ქაღალდის გამომუშავება ჩვენში 12-ჯერ გადიდდა, ხოლო ცელულოზისა — 55-ჯერ. ამჟამად ქაღალდის გამოშვებამ ჩვენს ქვეყანაში მიაღწია 2.419 ათას ტონას და მუყაოს გამოშვებამ — 787 ათას ტონას. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა სახალხო მეურნეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 7 აპრილს მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ დადგენილებით დასახულია ქაღალდის გამოშვება 1965 წელს გადიდდეს 1,8-ჯერ, ცელულოზისა — თითქმის სამჯერ და მუყაოსი 5-ჯერ 1958 წელთან შედარებით.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ დასახულია შვიდწლედის ბოლომდე რეკონსტრუირებულ იქნეს ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის 38 მოქმედი და ახლად აშენდეს 30-ზე მეტი მსხვილი საწარმო.

უდიდესი დახმარება და ყურადღება, რასაც ჩვენს მრეწველობას უწევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვი, ყველა შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ ჩამორჩენა და შემდგომ განვავითაროთ სახალხო მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი.

ტრიბუნაზეა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე კ. მ. გერასიმოვი. იგი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად ვაწარმოებთ 12-ჯერ მეტ ქაღალდს, ხოლო 60-ჯერ მეტ ცელულოზას, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში.

მიუხედავად ამისა, ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის განვითარება ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი, ორატორის აზრით, ის არის, რომ ნელა იზრდება ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

სიტყვა ეძლევა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, უკრაინის სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს **პ. ა. როზენკოს.** შვიდწლედის ორ წელიწადში, ამბობს იგი, უკრაინაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 27 ათას ტონაზე მეტი ქაღალდი და მუყაო. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია აშენდეს კიდევ ორი ახალი ცელულოზის ქარხანა და სამი მუყაოს ფაბრიკა.

მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა ქაღალდის წარმოებაში გამოვიყენოთ გარეული ლერწამი, რომლის ყოველწლიური მოსავალი მდინარეების დნეპრის, დუნაისა და დნესტრის ლიმანებში უდიდეს ოდენობას აღწევს.

შემდეგ თათბირზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსმა ვ. ბ. ნიკოლაევმა.

ინფორმაცია გააკეთეს: ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. აფანასიევმა და არხანგელსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ი. ე. ვორონოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. თ. ზასიადკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. ა. გრიშმანოვი და ს. ა. ბასკაკოვი.

თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

# ახალი პროდუქცია

**თბილისის** ელექტრომოტორმშენებელი ქარხნის „ელექტროძრავას“ კოლექტივმა პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად იკისრა:

ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს სასაქონლო და საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა, ამასთან მასობრივად გამოუშვას ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის ე. წ. კონუსურ-როტორიანი ელექტროძრავა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად ამ ქარხნის კოლექტივმა აითვისა.

კონუსურ-როტორიანი ელექტროძრავა, რომელიც მოტორმშენებლობის უახლეს მიღწევად არის მიჩნეული, დაპროექტებულია ელექტროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ასეთი ძრავას პირველი საცდელი ნიმუში უკვე გამოშვებულია და დაყენებულია საწარმოო პირობებში გამოსაცდელად.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად წელს შეუდგეს ამ ახალი კონუსურ-როტორიანი ელექტროძრავების სერიულად გამოშვებას.

# ფეიქართა შეჯიბრება

**დიდი** აღმავლობით ჩაება სკკპ მორიგი XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის კოლექტივი.

— ვკისრულობთ მიმდინარე წლის 28 დეკემბრისათვის შევასრულოთ საერთო პროდუქციის გამოშვების 1961 წლის დავალება, ყრილობის მუშაობის დაწყების აღსანიშნავად სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცეთ 25 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილები, შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება შევასრულოთ 1 პროცენტის გადამეტებით, გავწიოთ 12 ტონა ნაზავი ნედლეულის, 150 ტონა პირობითი საწვავის და 300 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია.

ასეთი სოციალისტური ვალდებულებების შესრულება იკისრა ფეიქართა მოწინავე კოლექტივმა.

# შეუძლებელია ხელი შევუშალოთ ამას

**ვაშინგტონი**, 19 იანვარი. (საკდესი). ედლაი სტივენსონმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა კენედიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოსტზე დანიშნა, სიტყვა წარმოთქვა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ღია სხდომაზე. სტივენსონმა უპასუხა კომისიის წევრთა შეკითხვებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ კენედის მთავრობის შესაძლებელი პოლიტიკის თაობაზე, და განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კანონიერი ადგილის მიცემა გარდაუვალია და რომ „შეუძლებელია ამას ხელი შევუშალოთ“.

სტივენსონმა ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური მთავრობის პოლიტიკაზე, რომელიც აბრკოლებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაშვებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და, კერძოდ, თქვა: „აშკარა ფაქტია ის, რომ უკანასკნელ წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის მიმართ ჩვენი პოზიციისადმი მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შემცირდა“. ჩვენ აგრეთვე უნდა ვაღიაროთ მეორე აშკარა ფაქტიც, განაცხადა სტივენსონმა, — რომ შეუძლებელია დაიდოს რაიმე შეთანხმება განიარაღების შესახებ ისე, თუ მონაწილეობა არ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

მაგრამ სტივენსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადად იგი არ მოითხოვს პირდაპირ მოლაპარაკებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან

# იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის დეპეშა ჰამარშელდს

**პარიზი**, 19 იანვარი, (საკდესი). დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვს სასწრაფოდ მისცენ შესაძლებლობა ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ესაუბრონ კონგოს პრემიერ-მინისტრს ლუმუმბას. ასოციაციის სახელით ამ დეპეშას ხელი მოაწერეს დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა პიერ კოტმა, ბრიუსელის სასამართლოს ადვოკატებმა ჟიულ შომემ და ჟან დეგანმა, ასოციაციის გენერალურმა მდივანმა და პარიზის სასამართლოს ადვოკატმა ჟოე ნორმანმა, პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა როჟე პინტომ და სხვებმა.

ამ დეპეშის პირები გაეგზავნათ აგრეთვე კონგოს პრეზიდენტს კასავუბუსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელს კონგოში დაიალს.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, პარასკევი, 20 იანვარი, 1961 წ.

# თავისუფლება გლეზოსს! — მოითხოვენ ხალხები

## ამერიკა მოელის ახალ პრეზიდენტს იმედით და შიშით

## სიკვდილი მოღალატეებს! — აცხადებს რევოლუციური კუბა




# ვერ ჩაახშობენ ხალხთა ბრძოლას

მოსკოვი, 18 იანვარი. საკდესის მიმომხილველი ვასილ ხარკოვი წერს:

ცნობამ, რომ საბერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს მოელის ახალი სასამართლო დევნა, არ შეიძლება არ გამოიწვიოს აღშფოთებისა და პროტესტის გრძნობა. უკვე ორ წელზე მეტია ადამიანი, რომლის ცხოვრება სამშობლოსადმი პატრიოტული სამსახურის ნიმუშია, საპყრობილეში იმყოფება. მას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული და საპყრობილეში ჩასვეს მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებებისათვის.

უშიშარი პატრიოტი, რომელმაც თავისი ლეგენდარული გმირობით აღაფრთოვანა ბერძენი ხალხი ფაშიზმისადმი წინააღმდეგობისათვის, როგორც იუწყებიან, მძიმედ არის ავად. მაგრამ ავადმყოფიც იგი გაძლიერებული ბადრაგით მიიყვანეს კუნძულ კრეტაზე, სადაც ამზადებენ ახალ პროცესს გაზეთ „ავგის" წინააღმდეგ, რომლის დირექტორი იყო მანოლის გლეზოსი.

ასე უპასუხებენ საბერძნეთის ხელისუფალნი მოძრაობას გლეზოსის განთავისუფლებისათვის, რომელიც გაჩაღდა თვით საბერძნეთსა და მთელ მსოფლიოში. ცნობილია, რომ გასული წლის ოქტომბერში თვალსაჩინო ბერძენ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის მიმართვას მოწოდებით გლეზოსის შეწყალების შესახებ ხელი მოაწერა ასი ათასზე მეტმა ბერძენმა. ღია ბარათებზე, რომლებიც საინიციატივო ჯგუფმა გამოუშვა და პეტიციებზე ხელს აწერენ სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები. ბევრი მათგანი არ იზიარებს გლეზოსის რწმენას, მაგრამ სავსებით უსაფუძვლოდ მიაჩნია მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი.

საბერძნეთის ხელისუფალნი ახალ რეპრესიულ ღონისძიებებს იღებენ გლეზოსის წინააღმდეგ და ანგარიშს არ უწევენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. გლეზოსის განზრახულ პროცესს, ალბათ ისეთსავე უაზროს, როგორც წინა პროცესები იყო, როგორც ჩანს, კავშირი აქვთ პოლიტიკური რეპრესიების ახალ ტალღასთან, რომელიც ამ ბოლო დროს მოედო საბერძნეთს.

პოლიციური რეპრესიების გაძლიერება საბერძნეთში იმის ცდაა, რომ ხალხის ყურადღება ჩამოაშორონ საარსებო პრობლემებს, ჩაახშონ მისი ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. მაგრამ ბერძენი ხალხის ბრძოლას თვით სინამდვილე იწვევს, ხოლო, როგორც გაზეთი „ეთნოსი" წერს, „ეს სინამდვილე ასეთია: უმუშევრობა, ორნახევარი მილიონი ღარიბი, გლეხობის სიღატაკე, ექსპორტის შემცირება, სიძვირის ზრდა..." საბერძნეთის მონაწილეობა ნატოს სამხედრო კოალიციაში უდიდეს, აუტანელ ტვირთს აკისრებს მას. სამხედრო ასიგნებანი ახლა 6 მილიარდ დრაჰმას აღემატება. ეს თითქმის 25-ჯერ მეტია, ვიდრე ასიგნებანი განათლებაზე.

საბერძნეთის ტრაგედია ის არის, რომ მის ეროვნულ ინტერესებს სულ უფრო მეტად უმორჩილებენ უცხოეთის პოლიტიკას, რომლის განმხორციელებლებს ეს ქვეყანა მიაჩნიათ მხოლოდ რგოლად სამხედრო ბლოკებისა და ბაზების ჯაჭვში და არა თანასწორ პარტნიორად.

პოლიციური რეპრესიები ხელს ვერ შეუწყობს მდგომარეობის ნორმალიზაციას. პირიქით, ვინც ასეთ საგანგებო საშუალებებს მიმართავს, მხოლოდ ამწვავებს საშინაოპოლიტიკურ ვითარებას. ბერძენი ხალხი მოითხოვს, რომ საბერძნეთში განხორციელდეს საერთო ამნისტია დემოკრატი მოღვაწეებისათვის, გაუქმდეს საგანგებო კანონები, მოისპოს საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც არცხვენენ საბერძნეთის კარგ სახელს. ეს მოთხოვნები, რომლებსაც მხარს უჭერს მთელი ხალხი, სახავენ იმ გზას, რომელიც ხელს შეუწყობს მდგომარეობის ნორმალიზაციას საბერძნეთში.

## გამცემელთა მაქინაციები

ლონდონი, 18 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, რომ როგორც იქ ოფიციალურად გამოცხადდა, ჩომბე აპირებს გამართოს სამხედრო თათბირი პუტჩისტების მეთაურ პოლკოვნიკ მობუტუსთან და სამხრეთ კასაის სეპარატისტების ლიდერ კალონჯისთან.

გარდა ამისა, როგორც სააგენტოს ცნობიდან ჩანს, კოლონიზატორთა ამ აგენტებს, რომლებიც ძალიან შეაშფოთა კანონიერი მთავრობის ჯარების წარმატებამ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, განზრახული აქვთ ლუმუმბას და კანონიერ მთავრობის სხვა მოღვაწეთა სიცოცხლე, რომლებიც მათ ხელში იმყოფებიან, გამოიყენონ „დასაყრდენად კონგოსადმი კონტროლისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში.

# აღვკვეთოთ აგრესია ლაოსში

## სიანუკის განცხადება

სოფია, 18 იანვარი. (საკდესი). ლაოსის შესახებ ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თაობაზე კამბოჯის წინადადების გამო კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა განუცხადა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს პნომ-პენში: „ჩვენი წინადადება მოიწონეს ისეთმა კეთილი ნების ქვეყნებმა, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩემს წერილში, რომელიც შეიცავდა წინადადებას ლაოსის საკითხზე კონფერენციის მოწვევის შესახებ, მე აღვნიშნე, რომ, თუ ქვეყანა უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა ასეთ შეხვედრაში, ეს არსებითად ცხადყოფს, რომ მას არ სურს შეწყდეს უცხოეთის ჩარევა ლაოსის საქმეებში, არ სურს ქვეყნის მშვიდობა და ერთიანობა. მოხარული ვარ, რომ ბ-ნმა ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას".

## ლაოსი გოგოქრობს

ჰანოი, 18 იანვარი. (საკდესი). 2-დან 5 იანვრამდე ქჰამუანის პროვინციის ბუალაპლის რაიონში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო რადიოსადგურ „პატეტ-ლაოს ხმის" დამოწმებით, გაიმართა საპროტესტო მიტინგები ლაოსში ტაილანდელ რეაქციონერთა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

მიტინგების მონაწილენი მოუწოდებდნენ მთელ ხალხს შეკავშირდეს სუვანა ფუმას კანონიერი მთავრობის გარშემო, რათა გააძევონ ლაოსიდან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და ტაილანდელი რეაქციონერები. ისინი მხურვალედ მიესალმნენ მთავრობის ჯარებისა და პატეტ-ლაოს რაზმების გამარჯვებას ვიენტიანში და სიენგ-კუანგისა და ლუან-პრაბანის პროვინციებში.




ეს ფოტოსურათი გამოქვეყნებულია „ნიუ-იორკ ტაიმსის" ევროპული გამოცემის 13 იანვრის ნომრის პირველ გვერდზე. სურათზე გამოხატულია ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავი „ტ-6". მას გასაფრენად ამზადებენ ლაოსის ერთ-ერთი იმ აეროდრომიდან, რომლებსაც კონტროლს უწევენ მეამბოხე გენერლის ნოსავანის ძალები. „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ვიენტიანში ჟაკ ნევარდი იუწყება: „შეერთებული შტატების მიერ ლაოსისათვის გადაცემული თვითმფრინავები მოწინააღმდეგეს რაკეტებს უშენენ". ამრიგად, ახლა ამერიკულ პრესასაც კი აღარ მიაჩნია საჭიროდ დამალოს ლაოსის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის ფაქტები. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი სულ ატრიალებს გაცვეთილ ფირფიტას, ლაოსში ამერიკის ინტერვენციის არავითარი „დამამტკიცებელი საბუთი" არ არსებობსო. მეტი რაღა საბუთებია საჭირო!

# ციკლონები და ანტიციკლონები ამერიკის დედაქალაქში

ვაშინგტონი, 18 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი გ. შიშკინი გადმოგვცემს:

ვაშინგტონში ზამთრის მიზეზიანი ამინდია. ტყეებსა და პარკებში, ხეობებსა და სახლების დაჩრდილულ ეზოებში თოვლი დევს. ვაშინგტონელებში იგი იწვევს უსიამოვნო მოგონებას 11 დეკემბრის უმაგალითო თოვლის შესახებ, რომელმაც რამდენიმე დღით ჩაკლა დედაქალაქის ცხოვრება. ქალაქმა საკუთარი ძალებით თავი ვერ გაართვა თოვლის ზვავებს, და მხოლოდ სამხრეთის თბილმა ქარმა და ცხელმა მზემ გაწმინდა ვაშინგტონის ქუჩები.

სულ ორი დღის წინათ მეტეოროლოგიური ცნობები იუწყებოდნენ, რომ ჰაერის ცივი მასები ჩრდილოეთ-დასავლეთიდან შეიჭრნენ ატლანტიკის სანაპიროს რაიონებში. ვაშინგტონის ცა კვლავ მოიღრუბლა. მკაცრი ქარი გამვლელებს სახეში ახლიდა ხან ყინულოვან წვიმას, ხან სველ თოვლს, ხან ორივეს საზიზღარ ნარევს. დღეს კი ქალაქში კვლავ ბრწყინავს ცხელი მზე და ზამთარი თითქოს არც კი ყოფილა.

ციკლონები და ანტიციკლონები ახლა განსაკუთრებული ძალით ეჯახებიან ერთმანეთს ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ორი დღის შემდეგ კონგრესის შენობის წინ ახალი პრეზიდენტი კენედი ფიცს დადებს კონსტიტუციისადმი ერთგულებაზე და შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. დაამარცხა რა ნოემბრის არჩევნებში ეიზენჰაუერ-ნიქსონის მთავრობა, ამერიკელი ხალხის უმრავლესობამ დაგმო ამ მთავრობის აგრესიული პოლიტიკა. როცა მალე არჩევნების შემდეგ გაზეთმა „კეპიტლ ტაიმსმა" მიმართა მკითხველებს კითხვით, რა სურთ მათ ყველაზე მეტად ახალ წელს, მან მიიღო ერთსულოვანი პასუხი — „მშვიდობა". „ჩემი პირველი და ყველაზე მთავარი სურვილია მშვიდობა მთელ მსოფლიოში, — განაცხადა, ისევე როგორც მეტმა წილმა გამოკითხულმა, ქ-მა ტორპმა.

პრესა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამერიკელი ხალხის ამ ფართოდ გავრცელებულ განწყობილებას და ახლა წერს, რომ შეერთებულ შტატებს ესაჭიროებათ „ახალი სტარტი". პრეზიდენტად არჩეულ კენედის, აცხადებს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი უორენ როჯერსი, „შესაძლებლობა აქვს ახალი სტარტისათვის". „საბჭოთა პრემიერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა, — ხაზგასმით აღნიშნავს იგი, — მისასალმებელ დეპეშაში არჩევნების შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ დაბრუნდება ფრანკლინ რუზველტის დროის სულისკვეთება".

აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შედეგებმა და ამ თათბირზე მიღებულმა განცხადებამ და მიმართვამ მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის" მიმომხილველის ჩალმერს რობერტსის აზრით, ამ თათბირის შედეგები „სახავენ ახალი რაუნდის გზას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში, ახალი ამერიკელი პრეზიდენტისა და საბჭოთა პრემიერ ნიკიტა ხრუშჩოვის მოლაპარაკების გზას".

მაგრამ ვაშინგტონში ახლა სხვა ქარიც ქრის — „ცივი ომის" ყინულოვანი ქარი, რომელსაც აღვივებენ გავლენიანი ძალები. თუმცა არავის ეჭვი არ ეპარება, რომ უბრალო ამერიკელები მშვიდობას ესწრაფვიან, წერს „გაზეტ ენდ დეილი", მაგრამ შეერთებულ შტატებში „არიან ძლიერი მიმდინარეობანი საერთაშორისო თანამშრომლობისადმი ამ ღრმა ხალხური მისწრაფების წინააღმდეგ".

მხოლოდ წარსულ კვირაში მთელი ამ ძალების სახელით გამოვიდა ცნობილი სენატორი გოლდუოტერი. მის მიერ გამოქვეყნებულ „რესპუბლიკელთა პრინციპების, პროგრამებისა და მიზნების მანიფესტი „შეიცავს პირდაპირ მოწოდებას უარი თქვან მშვიდობიანი თანაარსებობის, განიარაღებისა და ატომური გამოცდის შეწყვეტის პოლიტიკაზე. მანიფესტში გამოცხადებულია ისეთი ველური პრინციპები, როგორიც არის „მტკიცე ანტიკომუნისტური ხაზი საერთაშორისო და საშინაო საკითხებში", „სრული უნდობლობა საბჭოთა კავშირისადმი", „ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ განახლება" და „აბსოლუტური ოპოზიცია, რომ წითელი ჩინეთი დაუშვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში".

გოლდუოტერის ბევრ თანამოაზრეს ახლა დიდმნიშვნელოვანი პოსტი უკავია. ეს მათ გაგზავნეს ავიამზიდები ლაოსის ნაპირებისაკენ. ეს ისინი ამზადებენ შეჭრას რევოლუციურ კუბაში. ღეს მათ მიაღწიეს სამხედრო ხარჯების მილიარდ ნახევარი დოლარით გადიდებას ახალ ბიუჯეტში, რომელიც ეიზენჰაუერმა წარუდგინა კონგრესს.

ვაშინგტონში ახლა სხვადასხვა ქარი ქრის. როგორც გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი წერს, „ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების წინ ამერიკის საზოგადოებრივ აზრს უცნაური განწყობილება აქვს — იმედიც და შიშიც".

თვით ამერიკელები კი იმედს ამყარებენ მშვიდობაზე, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე, განიარაღებაზე. ისინი შიშობენ, რომ ძალებმა, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან, შეიძლება გაიმარჯვონ. მაგრამ მათ მტკიცედ იციან, რომ რა უამინდობაც უნდა იყოს ზამთრის თვეებში, ზამთარს მუდამ მოსდევს გაზაფხული და ალუბლის ყვავილობა მდინარე პოტომაკზე, რომლის ნაპირებზე მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

### ტერორისტთა გასამართლება კუბაში

ჰავანა, 18 იანვარი. (საკდესი). რევოლუციური ტრიბუნალები, რომელთა შემადგენლობაში არიან არმიის, მილიციის, მუშებისა და გლეხების წარმომადგენელნი, „ტერორიზმის წინააღმდეგ კანონის" შესაბამისად, რომელიც მიღებულია 5 იანვარს, მკაცრად სჯიან სამშობლოს მოღალატეებს. გუშინ რევოლუციურმა ტრიბუნალმა, რომელიც სხდომებს მართავს ციხესიმაგრე „კაბანიაში", სიკვდილი მიუსაჯა სამ ტერორისტს. ერთი მათგანი მონაწილეობდა რადიოკომენტატორ პედრო ლიადაზე თავდასხმაში. სიკვდილის განაჩენი მოყვანილია სისრულეში. 58 სხვა დამნაშავეს მისჯილი აქვს სხვადასხვა ვადის პატიმრობა.

რევოლუციური ტრიბუნალების განაჩენს მხარს უჭერს კუბის ყველა მშრომელი.

### ჯარისკაცები გარბიან მეამბოხეთა არმიიდან

ჰანოი, 18 იანვარი. (საკდესი). მთავრობის ჯარებისა და პატეტ-ლაოს ძალების შეტევის მსვლელობაში მათ მხარეზე გადმოდის მეამბოხეთა არმიის ბევრი ჯარისკაცი. რადიო „პატეტ-ლაოს ხმა" 16 იანვარს იუწყებოდა, რომ ბან-ბანისა და ნონგ-ჰეტის განთავისუფლების შემდეგ მეამბოხეთა ჯარებიდან დეზერტირად წავიდა სავსებით შეიარაღებული 150-ზე მეტი ჯარისკაცი. ამას წინათ მთავრობის ჯარების მხარეზე გადავიდა კიდევ 30 ჯარისკაცი, რომლებმაც თან წაიღეს შაშხანები და სხვა იარაღი.

# ვერაფერი ისწავლა, ვერაფერი გაიგო...

### ეიზენჰაუერის უკანასკნელი პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 18 იანვარი, (საკდესი). დღეს აქ გაიმართა უკანასკნელი პრესკონფერენცია პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა, რომელიც მალე დატოვებს თავის პოსტს.

თავისი, ძალის პოზიციის ერთგულმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიჩინონ ძლიერება და სიმტკიცე თავიანთ საგარეო პოლიტიკაში. ამავე დროს, ფარისევლურად ამტკიცებდა, იგი, უარი არ უნდა ვთქვათ მოლაპარაკებაზე, როცა საქმე მშვიდობას შეეხებაო.

მაგრამ როცა ერთი კორესპონდენტი პრეს-კონფერენციის დასასრულს კვლავ დაუბრუნდა ეიზენჰაუერის ამ განცხადებას და ჰკითხა მას, თუ რატომ ამბობდა უარს ასეთ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური მთავრობა მონაწილეობა მიეღო კამბოჯის მიერ შემოთავაზებულ თათბირში ლაოსის პრობლემის გადასაჭრელად, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს არ სურთ მონაწილეობა მიიღონ ასეთ თათბირში და რომ ძალით ვერავინ მიაღებინებს მონაწილეობას.

როცა ეიზენჰაუერს სთხოვეს დაესახელებინა, მისი აზრით, თუ რა იყო ამ 8 წლის განმავლობაში ყველა დიდი მიღწევები და იმედგაცრუებანი ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში, მან პასუხი იმედგაცრუებათა განმარტებით დაიწყო. მან თვალთმაქცურად განაცხადა, რომ დიდი იმედგაცრუებაა ის ფაქტი, რომ მისი პრეზიდენტობის წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს დაემყარებინათ ისეთი მდგომარეობა მსოფლიოში, როცა შესაძლებელია მტკიცე მშვიდობის იმედი. მეორე დიდი იმედგაცრუება, თქვა შემდეგ ეიზენჰაუერმა, იყო გასული წლის 8 ნოემბერი, ესე იგი რესპუბლიკური პარტიის დამარცხება პრეზიდენტის არჩევნებში. განვლილი 8 წლის განმავლობაში ერთადერთ მიღწევად ეიზენჰაუერმა დაასახელა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიდან აიცილეს დიდი ომი.

# ეიზენჰაუერის „ანდერძი"

ვაშინგტონი, 18 იანვარი. (საკდესი). 17 იანვარს საღამოს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით, რათა, როგორც მან თქვა, „უკანასკნელად გაეზიარებინა აზრები თანამემამულეებისათვის".

ეიზენჰაუერის ვრცელი სიტყვის ძირითადი შინაარსი იყო გაფრთხილება, რომ ამერიკას იმედი არ უნდა ჰქონდეს „ცივი ომის" მალე დამთავრებისა, არამედ, პირიქით, უნდა ემზადოს „ახალი მსხვერპლისათვის", რადგან, მისი სიტყვით, „წყდება თავისუფლების ბედი". განაცხადა რა, რომ საერთაშორისო და საშინაო „კრიზისები გაგრძელდება", პოლიტიკური ასპარეზიდან მიმავალმა რესპუბლიკური პარტიის მოღვაწემ თქვა, რომ უნდა ვერიდოთ „ცდუნებას ვიფიქროთ, რომ რაღაც ეფექტიან საშუალებას შეუძლია მოიტანოს ახლანდელი სიძნელეების სასწაულთმოქმედი გადაწყვეტა". ეიზენჰაუერი კვლავ მოუწოდებდა — განახორციელონ ძალის პოზიციის პოლიტიკა. „ჩვენი იარაღი, — განაცხადა მან, — უნდა იყოს მძლავრი და მზად უნდა გვექნეს დაუყოვნებლივი მოქმედებისათვის".

ყველა ამ მოწოდებისა და გაფრთხილების შემდეგ თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში ეიზენჰაუერი არწმუნებდა ამერიკელებს, რომ იგი თავის პოსტს ტოვებს „იმედგაცრუების გარკვეული გრძნობით" განიარაღების დარგში პროგრესის უქონლობის გამო.

# ლუნდულა მოითხოვს...

კაირო, 18 იანვარი. (საკდესი). კონგოს ეროვნული არმიის სარდალმა გენერალმა ვიქტორ ლუნდულამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და აფრიკა-აზიის ქვეყნების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაუგზავნა დეპეშები, რომლებშიც ატყობინებს, რომ ეროვნული არმიის ქვეგანაყოფებმა გომაში (კივუს პროვინცია) შეიპყრეს რვა ბელგიელი ჯარისკაცი, რომლებიც კონგოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ რუანდა-ურუნდიდან.

დაკითხვაზე სტენლივილში, აღნიშნავს გაზეთი „ალ-აჰრამი", შეპყრობილმა ჯარისკაცებმა უჩვენეს, რომ ისინი მსახურობენ ნატოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობის ბელგიის ნაწილებში, რომლებიც განლაგებული არიან დასავლეთ გერმანიაში.

აცნობებს რა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და აფრიკა-აზიის ქვეყნების წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ფაქტს, ლუნდულა სთხოვს მათ მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა აღკვეთონ იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული მოქმედება კონგოში.

## ალჟირი იბრძვის

პარიზი, 18 იანვარი. (საკდესი). ალჟირის ქალაქებში გრძელდება არაბი მოსახლეობის დემონსტრაციები ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მხარდასაჭერად. პარიზის გაზეთების ცნობით, გუშინ საფრანგეთის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრაციის მონაწილეებს, რომელიც მიმდინარეობდა ქალაქ ალჟირის გარეუბან დიარ-ეს-საადაში.

გუშინ საფრანგეთის არმიის დიდმა ქვეგანაყოფებმა და „რესპუბლიკის უშიშროების რაზმებმა" ორანში გაჩხრიკეს და საბუთები შეუმოწმეს 4.000-ზე მეტ ალჟირელს.

ალჟირის მთელ ტერიტორიაზე გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის.

## სისხლისღვრა სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 18 იანვარი. (საკდესი). ნგო დინ დიემის ხელისუფალნი უძლური არიან ჩაახშონ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის პატრიოტული ბრძოლა და ნამდვილი ომი გამოუცხადეს ხალხს. ადგილის გაჩხრიკის ეგრეთწოდებულ ოპერაციებში მონაწილეობენ სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამის დიქტატორს ამერიკელმა იმპერიალისტებმა მისცეს.

როგორც აღნიშნულია ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიის პროტესტში, ნგო დინ დიემის თვითმფრინავებმა ნოემბერში ბარბაროსულად დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს დასახლებულ პუნქტებს ვინ-თჰანს, ხინგ-დიენს (კიენ ტიონგის პროვინცია), რის შედეგად მოსახლეობაში ბევრია მოკლული და დაჭრილი. ასეთივე ხვედრი განიცადეს სოფლებმა გაო-დომ და ხან-ბინმა, სადაც სროლის დროს დაიღუპა 15 კაცი და ბევრი დაიჭრა და დაზიანდა.




აიკიდა მისი ბარგი-ბარხანა.

ნახ. გ. ლომიძისა.

# ხიშტები ვერ უშველის მარიონეტებს



ტელეგრაფი იუწყება: ლეოპოლდვილსა და მის მიდამოებში გრძელდება პოლიციელთა და ჯარისკაცთა მღელვარება. ზოგიერთ ბანაკში, აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, მოხდა ჯარისკაცთა ამბოხებანი მობუტუს მიერ დაყენებული ოფიცრების წინააღმდეგ. უკმაყოფილების ჩასახშობად მობუტუ რჩეულ დამსჯელ რაზმებს იყენებს.

17 იანვარს მობუტუს არამზადები დედაქალაქში თავს დაესხნენ პოლიციელთა ბანაკს, რომელიც ლეოპოლდვილის პროვინციის ხელისუფალთა გამგებლობაშია. შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა პოლიციელები მწკრივად დააწყეს. შემდეგ 30 კაცს, რომლებსაც ბრალი დასდეს „ურჩობაში", იარაღი აჰყარეს და სატვირთო ავტომანქანებით საპყრობილის ბანაკში წაიყვანეს.

თვით ლეოპოლდვილში არ წყდება მოსახლეობის დემონსტრაციები მობუტუს მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ. პოლიციელები ხიშტებს იყენებენ პატრიოტების წინააღმდეგ. სისხლი იღვრება, მაგრამ მარიონეტების დღეები დათვლილია. კოლონიზატორთა, ხიშტები განწირულთა იარაღია.

სურათზე: პატრიოტული დემონსტრაციის გარეკვა ლეოპოლდვილში.

## XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი

### მეექვსე ტური

მოსკოვი. 19 იანვარი. (ტელეფონით). დღეს დედაქალაქის რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა.

გათამაშდა მეექვსე ტური. ბევრისათვის მოულოდნელი იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის ტ. პეტროსიანისა და ლვოველი მოჭადრაკის ლ. შტეინის პარტიის შედეგი. ლ. შტეინმა თეთრებით წარმატებით ჩაატარა ბრძოლა და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ასევე წარმატებით ჩაატარა ბრძოლა გროსმაისტერმა ი. ბოლესლავსკიმ საერთაშორისო ოსტატის ა. ბანიკის წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში 1 ქულა ჩაიწერა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ვ. სმისლოვისა და ვ. სიმაგინის პარტიაში გამარჯვებული გამოვიდა ვ. სმისლოვი.

მ. ტაიმანოვმა დაამარცხა ხ. ფურმანი, ლ. პოლუგაევსკიმ — ე. გუფელდი, ბ. სპასკიმ — ი. ავერბახი. ვ. კორჩნოია. ლუტიკოვის და ე. გელერ-მ. ბორისენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა. 2 პარტია გადაიდო.

დღეს ბრძოლის განუახლებლად მ. ტაიმანოვი დანებდა ე. გელერს მეხუთე ტურის გადადებულ პარტიაში.

6 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია გროსმაისტერი ვ. სმისლოვი, რომელსაც 4,5 ქულა აქვს.

20 იანვარს დედაქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

## ამინდი

21 და 22 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, სუსტი ქარი; აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, უმეტესად დასავლეთ რაიონებში, დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

უე 03817 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.